საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ 0C245177 "27" 05 2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.18.06.019.055 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს ქეი-ელ-გრუპი (404670272), დაზუსტებული ფართობი: 2145.0 კვ.მ., მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა კრწანისი N 6) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR11034439 განაცხადის შესაბამისად გაიცეს შეთანხმებული პროექტის ცვლილება და მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**) შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ერეკლე ვაშაყმაძე

კორპორაციული კლიენტების მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

71181566286124

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240381315

რეგისტრაციის თარიღი

28.03.2024 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი, ირმა შარვაძეს, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **ზურაბ ქოქოსაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 22.01.2024 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N240070424 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ზურაბ ქოქოსაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ერეკლე ვაშაყმაძის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ზურაბ ქოქოსაძეს** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ქოქოსაძემ** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. სოხუმი, პირადი ნომერი: 62001032255, მცხოვრები თბილისი სამგორი III მასივი IX კვ. კორ. 2 ბ. 1) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ზურაბ ქოქოსაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35,00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

რწმუნებულება

მე, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ზურაბ ქოქოსაძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), **ერეკლე ვაშაყმაძეს** (პირადი ნომერი: 01017039738; შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით) ხელი მოაწეროს):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, დეპოზიტის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები) 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;

1.2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.3. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

2. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2 და 1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა 1.1 ქვეპუნქტში მოცემულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ები)ში/ შეთანხმება(ები)ში/გარიგება(ები)ში თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს) შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებისა.

3. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში:

3.1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;

3.2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო პირისთვის წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებსა;

3.3. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/ წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.

რწმუნებულება გაცემულია 2025 წლის 1 აპრილამდე.

მარწმუნებელი

ზურაბ ქოქოსაძე _____

ნოტარიუსი _____

აკინძულია

ფურცლად

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

09849664158324

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240070756

რეგისტრაციის თარიღი

23.01.2024 წ

ნოტარიუსი: დიანა სვანაძე
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
ტელეფონი: 2 95 77 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდასამ იანვარს მე, ნოტარიუსს **დიანა სვანაძეს**, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებელის გამზ. #109, მომმართა **კობა კვანტალიანმა.**

კობა კვანტალიანმა განაცხადა, რომ არის შპს „ქეი-ელ-გრუპი"-ს (ს/ნ 404670272) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი (ერთობლივი).

მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა **ლევან ჩაჩუას** სახელზე და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **კობა კვანტალიანმა** (დაბადებული 09.11.1976წ. თბილისში, მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N98, ბინა 5**, პირადი #01015005319) მომმართა.

მე შევამოწმე კობა კვანტალიანის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ქეი-ელ-გრუპი" (ს/ნ 404670272), თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან *განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23190173, 19/12/2023* 17:30:25.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც წაიკითხა და მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდასამ იანვარს მე, **კობა კვანტალიანი** (დაბადებული 09.11.1976წ. თბილისში, მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N98, ბინა 5**, პირადი #01015005319), **როგორც შპს „ქეი-ელ-გრუპი"-ს (ს/ნ 404670272) დირექტორი,** ამ მინდობილობით უფლებას **ლევან ჩაჩუას** (დაბ. 02.04.1981წ. თბილისში, მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, II კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 34, პირადი** #01012012287), მასზედ რომ:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც **შპს „ქეი-ელ-გრუპი"-ს (ს/ნ 404670272) დირექტორის** წარმომადგენლები სახელმწიფო/არასახელმწიფო/საჯარო და კერძო დაწესებულება-ორგანიზაციებში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის (მათ შორის ქ. თბილისის) მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობის, სატრანსპორტო, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურებში, მერიის იურიდიულ სამსახურებთან ურთიერთობებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საკრებულოში, გამგეობაში, თვითმმართველობის ორგანოებში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში და მის სივრცეში განთავსებულ სამსახურებში, არქივებში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, კეთილმოწყობის სამსახურში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ქონების მართვის სააგენტოში, კეთილმოწყობის სამსახურში, კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში (წყალი, გაზი, ელექტრო ენერგია, დასუფთავების სამსახური, ტელევიზია, ინტერნეტი), მათ შორის თბილისი ენერჯიში, სილქნეტი, მაგთი და მაგთი IPTV, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი, თელასი, თელმიკო, სემეკში და ყველა კომპეტენტურ ორგანოში **შპს „ქეი-ელ-გრუპი"-ს (ს/ნ 404670272)** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებასთან დაკავშირებით მდებარე შემდეგ მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ქუჩა კრწანისი, N6 (ს/კ N01.18.06.019.055)** - წარმოადგენლობის, გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებით.

- უფლებამოსილია შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ცნობები/მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, მიიღოს მშენებლობის ნებართვები და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტი კომპანიის საკუთრებაში არსებულ ზ/აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, მოითხოვოს ზონალური შეთანხმებები, განახორციელოს წითელი ხაზების კორექტირება, განახორციელოს გაპი-ს ცვლილება, კოეფიციენტის მომატება, შეათანხმოს არქიტექტურული სამშენებლო პროექტი, აიღოს მშენებლობის ნებართვა, მოახდინოს შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციაში მიღება, აიღოს ახალი ამონაწერი, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში გამოასწოროს ნებისმიერი სახის ხარვეზი, ჩემი სახელით და ჩემს ნაცვლად ხელი მოწეროს მშნებლობის ნებართვის მიღებასთან / პროექტის დამტკიცებასთან / პროექტის კორექტირებასთან / ექსპლოატაციაში მიღებასთან / მონტაჟთან / დემონტაჟთან / ღიობის გაჭრასთან / გაყოფასთან / გამიჯვნასთან / გაერთიანებასთან /კოეფიციენტის ცვლილებასთან / პერსონალური მონაცემების ცვლილებასთან

დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, ნებისმიერი შინაარსის თანხმობებს, აწარმოოს მოლაპარაკება ნებისმიერი სახელმწიფო/საჯარო პირთან, გადაუხადოს მოსაკრებელი საჯარო პირებს, წარუდგინოსნ განცხადებები მესამე პირებს რეკონსტრუქციასთან / მშენებლობის ნებართვის მიღებასთან / მშენებლობასთან / დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის და/ან კორექტირებული პროექტის მიღებასთან / ექსპლოატაციაში მიღებასთან / მონტაჟთან / დემონტაჟთან / ღიობის გაჭრასთან/გამიჯვნასთან/გაყოფასთან/გაერთიანებასთან /კოეფიციენტის ცვლილებასთან / პერსონალური მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, წარმოადგინოს „მიმნდობის“ ინტერესები აზომვითი ნახაზის მომზადებისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მათ შორის შეათანხმონ პროექტი და მიიღოს თანხმობა, აწარმოოს მშენებლობის ნებართვის აღებასთან/კორექტირებასთან/ვადის გაგრძელებასთან (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, დაშენება, გადახურვა, დემონტაჟი, ღიობის ამოჭრა, ღიობის შეცვლა და სხვა), შენობის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები, დადგენილებები/გადაწყვეტილებები, გადაიხადოს გადასახადები, გამოითხოვოს დოკუმენტები, ჩემი სახელით წარადგინოს და აიღოს/მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, ცნობა, ინფორმაცია, ნებართვა პროექტი და სხვა. განახორციელოს დოკუმენტაციის ელექტრონულად ატვირთვა ვებგვერდებზე. ჩაასწოროს ხარვეზი საბუთებში, დაესწროს საქმის განხილვას; უფლებამოსილის კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში და ყველა კომპეტენტურ ორგანოში ტექნიკური პირობების აღებასთან, აბონენტად რეგისტრაციასთან, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანასთან, გამრიცხველიანებასთან, ნებისმიერი საკითხის განხილვასთან, გადასახადების გადახდასთან, გადაწყვეტილების მიღებასთან და წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, ჩემი სახელით და ჩემს მაგივრად შეიტანოს/გამოიტანოს/გააკეთოს განცხადებები/განაცხადები/ საჭირო ცნობები / ნებართვები, გადაიხადოს ნებისმიერი სახის მოსაკრებელი და გადასახადები, მათ შორის კომუნალური გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს / დოკუმენტს, განცხადებას / განაცხადს / ხელშეკრულებას / თანხმობას/შეთანხმებას, გადაიხადოს გადასახადები და ყველა სხვა შესატანები/მოსაკრებელი, სათანადო ორგანოებში შეიტანოს განცხადებები და ა.შ., აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს ყველა ის მოქმედება/ფორმალობა და კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად;

ეს მინდობილობა შედგენილია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს **დიანა სვანაძის** სანოტარო ბიუროს არქივში.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით - 2 (ორი) წლით და ძალაშია 2026 წლის 23 იანვრის ჩათვლით.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1) შპს „ქეი-ელ-გრუპი“-ს (ს/ნ 404670272) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23190173, 19/12/2023 17:30:25.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 30.00 (ოცდაათი) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: 40.40 ლარი.

შპს „ქეი-ელ-გრუპი“-ს (ს/ნ 404670272) დირექტორი -

კობა კვანტალიანი ----------

ნოტარიუსი: ---------- / დიანა სვანაძე /

NOTARY DIANA SVANADZE
НОТАРИУС ДИАНА СВАНАДЗЕ
4 9 0 2 1

დიანა სვანაძე
ნოტარიუსი